

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №291

2017 წლის 15 ივნისი

ქ. თბილისი

თავისუფალი ინდუსტრიული ზონის საწარმოს მიერ დაქირავებულისათვის გადახდილი ხელფასის დაბეგვრის წესის დამტკიცების შესახებ

მუხლი 1

საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-2 მუხლის მე-3 ნაწილისა და 153-ე მუხლის მე-9 ნაწილის საფუძველზე, დამტკიცდეს თანდართული „თავისუფალი ინდუსტრიული ზონის საწარმოს მიერ დაქირავებულისათვის გადახდილი ხელფასის დაბეგვრის წესი“.

მუხლი 2

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ძალადაკარგულად გამოცხადდეს „თავისუფალი ინდუსტრიული ზონის საწარმოს მიერ დაქირავებულისათვის გადახდილი ხელფასის დაბეგვრის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2008 წლის 27 ივნისის №144 დადგენილება.

მუხლი 3

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი

გიორგი კვირიკაშვილი

თავისუფალი ინდუსტრიული ზონის საწარმოს მიერ დაქირავებულისათვის გადახდილი ხელფასის დაბეგვრის წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. ეს წესი, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 153-ე მუხლის მე-9 ნაწილის შესაბამისად, განსაზღვრავს თავისუფალი ინდუსტრიული ზონის საწარმოს მიერ დაქირავებული საქართველოს რეზიდენტი ფიზიკური პირისათვის ხელფასის სახით განაცემის საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრის წესს.

2. თავისუფალი ინდუსტრიული ზონის საწარმოს მიერ დაქირავებული საქართველოს არარეზიდენტი ფიზიკური პირისათვის ხელფასის სახით განაცემის საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრის წესი განისაზღვრება საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

ამ წესის მიზნებისათვის გამოყენებული ტერმინების მნიშვნელობებია:

ა) თავისუფალი ინდუსტრიული ზონის საწარმო – ნებისმიერი სამართლებრივი ფორმის საწარმო, რომელიც რეგისტრირებულია თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;

ბ) დაქირავებული – საქართველოს რეზიდენტი ფიზიკური პირი, რომელიც დაქირავებულია თავისუფალი ინდუსტრიული ზონის საწარმოს მიერ. ამასთან, დაქირავებულად არ ითვლება ფიზიკური პირი, რომელიც ამ საწარმოსათვის ახორციელებს ხელშეკრულების ფარგლებში მომსახურების მიწოდებას, მათ შორის, ქონების იჯარით (ქირით) გადაცემას;

გ) ხელფასი – საქართველოს რეზიდენტი ფიზიკური პირის მიერ თავისუფალი ინდუსტრიული ზონის საწარმოში დაქირავებით მუშაობის შედეგად მიღებული ნებისმიერი საზღაური (სარგებელი), რომელიც



საკასო მეთოდით განსაზღვრება საქართველოს საგადასახადო კოდექსის 101-ე მუხლის შესაბამისად და საგადასახადო მიზნებისათვის მიიჩნევა ხელფასის სახით მიღებულ შემოსავლად.

მუხლი 3. საშემოსავლო გადასახადის გადახდის წესი

1. ამ წესით განსაზღვრული ხელფასის მიმართ თავისუფალი ინდუსტრიული ზონის საწარმოს (შემდგომში – საწარმო) არ ეკისრება საგადასახადო კანონმდებლობით დადგენილი საგადასახადო აგენტის ფუნქციის შესრულება.
2. დაქირავებულის მიერ საწარმოში მიღებულ შემოსავალზე საშემოსავლო გადასახადი გადახდას ექვემდებარება ყოველთვიურად, არაუგვიანეს საანგარიშო თვის მომდევნო თვის 15 რიცხვისა.

მუხლი 4. საგადასახადო ანგარიშგება

1. დაქირავებული ვალდებულია, ყოველწლიურად, საანგარიშო წლის მომდევნო წლის 1 აპრილამდე, საგადასახადო ორგანოს წარუდგინოს საშემოსავლო გადასახადის წლიური დეკლარაცია, საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.
2. საწარმო ვალდებულია, საგადასახადო წლის დამთავრებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში, ხოლო ლიკვიდაციის შემთხვევაში – ლიკვიდაციის თაობაზე გადაწყვეტილების მიღებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში საგადასახადო ორგანოს წარუდგინოს ინფორმაცია დაქირავებულზე გაცემული ანაზღაურების თანხების, დაქირავებულების გვარის, სახელისა და საიდენტიფიკაციო ნომრის თაობაზე (დანართი №1).
3. ამ წესით განსაზღვრული ხელფასის მიმართ საგადასახადო ვალდებულების ცენტრალიზებულად შესრულების მიზნით, საწარმოს შეუძლია, დაქირავებულის თანხმობით, ნებაყოფლობით შეასრულოს გადასახადის გამოანგარიშების, დაკავებისა და ბიუჯეტში გადახდის ვალდებულებები, საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად. საწარმომ საგადასახადო აგენტის ფუნქციების დაკისრების შესახებ წინასწარ უნდა აცნობოს საგადასახადო ორგანოს. ამასთან, ამ ფუნქციის შესრულებასთან დაკავშირებული საგადასახადო სამართალდარღვევისათვის მის მიმართ არ გამოიყენება საქართველოს საგადასახადო კოდექსის XL თავით განსაზღვრული პასუხისმგებლობის ზომები, მათ შორის, საგადასახადო სანქციები. ასეთ შემთხვევაში, საგადასახადო პასუხისმგებლობის სუბიექტად ითვლება დაქირავებული, რომლის მაგივრადაც საწარმომ შეასრულა საშემოსავლო გადასახადის გადახდის ვალდებულება.

მუხლი 5. პასუხისმგებლობა

ამ წესით გათვალისწინებულ ვალდებულებათა შეუსრულებლობისათვის დაქირავებულს პასუხისმგებლობა ეკისრება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

დანართი

ინფორმაცია

თავისუფალი ინდუსტრიული ზონის საწარმოს მიერ საანგარიშო წლის განმავლობაში ფიზიკურ პირებზე (დაქირავებულებზე) ხელფასის სახით განაცემების შესახებ

თავისუფალი ინდუსტრიული ზონის საწარმოს:

დასახელება _____

--	--	--	--	--	--	--	--	--	--



№	დაქირავებულის სახელი და გვარი	დაქირავებულის საიდენტიფიკაციო (პირადი) ნომერი	ფიზიკურ პირზე გაცემული ხელფასი თვეების მიხედვით (ლარი)
1			
2			
3			
4			
5			
6			
7			
8			
9			
10			
11			
12			

საწარმოს პასუხისმგებელი პირი _____

(ხელმოწერა)

ბ. ა.

შენიშვნა: ინფორმაცია საგადასახადო ორგანოს წარედგინება საგადასახადო წლის დამთავრებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში, ხოლო ლიკვიდაციის შემთხვევაში – ლიკვიდაციის თაობაზე გადაწყვეტილების მიღებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში.

